საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/16292
21/06/2017

16292-04/07-2-201706211604

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

სამინისტროში 2017 წლის 15 ივნისს შემოსული თქვენი #293 წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

- 2013 წლიდან დღემდე ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ შენობებში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 4 009 დევნილ ოჯახს;
- 2013 წლიდან დღემდე საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 10 966 ოჯახს;
- პროგრამა „სოფლად სახლი“ მოქმედებს 2014 წლიდან და ამ პროგრამის ფარგლებში სულ შესყიდულია 1 528 სახლი;
- 2013 წლიდან დღემდე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია 8 631 ოჯახი;
- დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართით სულ დაკმაყოფილებულია 36 755 ოჯახი;
- 2017 წელს 173 ოჯახს უკვე გადაეცა საცხოვრებელი ფართი ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ შენობებში. ამის გარდა, წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 1 293 ბინის გადაცემა;
- პრივატიზებულ დევნილთა განსახლების ობიექტებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამების ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთობლივი თანამშრომლობით, ხორციელდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ღონისძიებები; ხოლო არაპრივატიზებულ ობიექტებში, აუცილებლობიდან გამომდინარე, ხორციელდება სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები (სახურავები. წყალკანალიზაცია და სხვ.);

- სამინისტროს ბიუჯეტიდან დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა: 2013 წელს - 9 280 012.00 ლარი, 2014 წელს - 6 731 766.00 ლარი, 2015 წელს - 6 014 250,00 ლარი და 2016 წელს - 5 947 862.00 ლარი;
- სამინისტროს მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 4 200 000.00 ლარი;
- დევნილთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით მშენებლობაზე სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა: 2015 წელს - 31 650 685.75 ლარი და 2016 წელს - 41 716 748.20 ლარი (ამ თანხაში შედის როგორც უშუალოდ ახალი სახლების მშენებლობა, ისე მენაშენეებისგან და „ჰუალინგი“-სგან გამოსყიდული ბინები). სამინისტრო მიმდინარე წლის ბიუჯეტით მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა შეადგენს 28 მლნ ლარს.

პატივისცემით,

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი